ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რეგისტრაციის ნომერი №57/1-180

№17 (79) 5 ოქტომბერი, 2009 წელი ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთისმშობლობა

როდესაც მოახლოვდა იესო ქრისტეს დაბადების დრო, ებრაელების ქვეყანაში, იუდეიაში, ცხოვრობდა ერთი კაცი და ერთი ქალი: კაცს ერქვა იოაკიმე, ქალს–ანნა. იოაკიმე იყო დავით მეფის შთამაოების, ანნა–არონ მღვდელმთავრის შთამაოებისა. მათ შვილი არ ჰყავდათ და ძლიერ სწუხდნენ უშვილობას. ევედრებოდნენ ღმერთს, რომ მიენიჭებია მათთვის შვილი. ღმერთმა ისმინა მათი ვედრება და გაუჩნდათ ერთი ქალიშვილი, რომელსაც დაარქვეს მარიამი. ამიტომ ვზეიმობთ სექტემბერში მარიამის დაბადებას და ვუწოდებთ მას ღვთისმშობლის შობას.

ღვთისმშობლობა ყველაზე დიდი ქრისტიანული დღესასწაულია, ამ დღეს საქართველოს ყველა მოქმედ ტაძარში აღევლინება ღვთის მსახურება. მრევლი შესთხოვს ღვთისმშობელს თავისი მადლი არ მოაკლოს თავის წილხვედრ ქვეყანას.

დედა ღვთისმშობლის კვართი–ეს უდიდესი სიწმინდე ქრისტიანობისა, დაცულია საქართველოში.

გვახსოვდეს აფხაზეთი!

27 სექტემბერი—სოხუმის დაცემის დღე—უდიდესი ტკივილი ქართველთა, მოუშუშებელი იარა, ძმათა შორის დაღვრილი სისხლი, აფხაზეთიდან გამოდევნილი ათასობით ქართველი და ლტოლვილად ქცეული საკუთარ ქვეყანაში.

მიტოვებული საფლავები, დანგრეული სახლ-კარი, თვალებდაუხუჭავი, დაუმარხავი უმანკო ბიჭები, ჭუბერის გზაზე გაყინული ბავშვები, ქალები და მოხუცები...

რატომ? ეს კითხვა გვაწვალებს აგერ უკვე 17 წელია და ამ კითხვას კიდევ ბევრჯერ დასვამს შთამომავლობა.

დღეს საქართველოს გარკვეული ნაწილი ოკუპირებულია, შარშანდელმა აგვისტოს ომმა მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობა დაარწმუნა იმაში, თუ ვინ გააჩაღა ძმათამკვლელი ომი, ვის აწყობდა ეს, რა ზრახვები ამოძრავებს რუსეთს, რას ვერ შეეგუა, რა ვერ მოინელა...

27 სექტემბერი დიდ ტკივილთან ერთად დიდი გაკვეთილიცაა და ერთგვარი იმედიც. ეს დღე და სამშობლოსათვის დაღვრილი სისხლი გვაფრთხილებს: გვიყვარდეს საქართველო, გვტკიოდეს საქართველო, ჩვენი სახელმწიფოებრიობა და ტერიტორიული მთლიანობა ყველაფერზე მაღლა დავაყენოთ, ერთად დავდგეთ და ვერაფერი მოგვერევა—ჩვენ გადავრჩებით, საქართველო გამთლიანდება.

სიმართლე ჩვენთანაა, ჩვენთან არს ღმერთი!

ახალი სასწავლო წელი

სიახლეების ძიებით, ქვეყნის პრიორიტეტების მათვალისწინებით

ფერხულში ჩაება, როგორ შეხვდით სასწავლო წელს? იყავით თუ არა მზად?

—ახალი სასწავლო წლის დაწყება ყოველთვის სიახლის მოლოდინით, უდიდესი პასუხისმგებლობის განცდითა და მღელვარებითაა აღსავსე. გამონაკლისი არც მიმდინარე სასწავლო წელი ყოფილა. თუმცა, წელს საზეიმო განწყობის საფუძველიც მეტი გვქონდა—რეგიონის 29 სკოლას შორის, რომლებშიც პრეზიდენტის ნაციონალური მეგაპროგრამის „იაკობ გოგებაშვილის—საჯარო სკოლების რეაბილიტაცია“ ფარგლებში ნაწილობრივი რეაბილიტაცია განხორციელდა, იყო ჩვენი სკოლაც, რამაც გარკვეული სტიმული შეგვმატა სამომავლოდ. მასწავლებლებიც აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი ახალი სასწავლო წლის სამზადისში, სკოლის დასუფთავება-კეთილმოწყობაში. მომზადდა საზეიმო ღონისძიებაც და 14 სექტემბერი სკოლის თითოეული მოსწავლისა თუ პედაგოგისათვის დასამახსოვრებელ დღედ იქცა.

რეფორმები უწყვეტი პროცესია საგანმანათლებლო სისტემაში, რა სიახლით შეხვდა სასწავლო წელს ბარდნალის საჯარო სკოლა?

—განათლების სისტემა ყოველთვის უნდა განიცდიდეს ცვლილებას ქვეყნის პრიორიტეტებისა და ინტერესების შესაბამისად. ეროვნული სკოლის რეფორმა იძლევა პიროვნების საერთო კულტურის, საკომუნიკაციო და პროფესიული უნარ-ჩვევების იმ ძირითადი ბაზისის შექმნის შესაძლებლობას, რომელსაც ეფუძნება ადამიანის თავისუფალი განვითარების მთელი შემდგომი პროცესი. რეფორმა მხარს უჭერს სკოლების მიერ თავიანთი ინდივიდუალური მოთხოვნილებებიდან და პრიორიტეტებიდან გამომდინარე სკოლების გაუმჯობესების პროგრამების დანერგვას, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას და აქედან გამომდინარე, ცოდნის დონის ამაღლებას, გარკვეული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

რეგიონის ყველა სკოლისათვის საამაყო და სასიხარულოა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბატონ ნიკა გვარამიას მიერ ამბროლაურში პედაგოგებთან შეხვედრისას გამოთქმული აზრი: „ეროვნული გამოცდებიც გვიჩვენებს და ამ ბოლო პერიოდში ჩატარებული ოლიმპიადებიც, რომ რაჭა-ლეჩხუმი სწავლის მაღალი ხარისხით გამოირჩევა, ამიტომ ჩვენც გვინდა განსაკუთრებული ყურადღება გამოვხატოთ ამ რეგიონისადმი“. ეს თითოეულ პედაგოგს მეტს გვავალებს.

ჩვენი სკოლის პედაგოგებიც დიდი ენთუზიაზმით არიან სავსე, მათი სურვილია სკოლა ვიზუალურადაც და ხარისხიანი სწავლებითაც გამოირჩეოდეს. ამის მისაღწევად სკოლის დირექციის დაუღალავი მუშაობაა საჭირო და ჩვენს ძალას არ დავიშურებთ საამისოდ.

სამეურვეო საბჭოსა და პედსაბჭოსთან თანამშრომლობით შევიმუშავეთ სკოლის შინაგანაწესი, წლიური სასკოლო და სამუშაო გეგმები, რომლებშიც დავსახეთ მუშაობის ძირითადი მიმართულებები, როგორიცაა მოსწავლეებში საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება, განათლების ხარისხზე ორიენტირება, ეროვნული ტრადიციებისა და ღირებულებების მატარებელი, პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე მოქალაქის აღზრდა.

როგორია მოსწავლეთა კონტიგენტი? არის თუ არა ყველა კლასი სრულყოფილი მოსწავლეთა რაოდენობით?

—მოგეხსენებათ, ჩვენი სკოლა რაიონის 7 სოფელს ემსახურება. კლასიკომპლექტიც, 2 ათეულ წელზე მეტია არ გვქონია. ამჟამად სკოლაში 111 მოსწავლეა, თორმეტივე კლასით. სხვა სკოლებიდან 6 ახალი მოსწავლე შემოგვემატა, თუმცა აღსაზრდელთა კლების საერთო ტენდენცია ჩვენთანაც იგრძნობა, რაც სერიოზულ განჯასა და დაფიქრებას მოითხოვს არა მარტო ჩვენი მხრიდან. 17 კურსდამთავრებული გვყავდა, პირველკლასელი კი მხოლოდ ოთხია.

(დასასრული გვ. 2)

ბიუსთაფლის ვიქტორის ლაუბიანტი, ვიქტორ ივანსუკი ჩაბუკიანი. 79 წლისაა



დრო, გრიგალი და სიჩუმე

უველა ტოტი გადახმა,
ვითვლი ამ ძველ იარებს,
შენ ისეთი ალვა ხარ,
ქარშიც რომ არ შრიალებს,
ჩვენ რომ გვახსოვს, იმგვარი ისმის
ციდან ღმერთის ხმა,
ამოვარდა გრიგალი–შენ ჩუმად
ხარ, შენთვის ხარ.
ჩემი დროც გაიყინა,
ნათელ დილას ღამე კლავს,
მითხარ როდის იყვირებ,
გრიგალი რომ წაგლეკავს?!

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

რთველი დასაჩქარებელია

სექტემბერი უჩვეულოდ ცივი გამოდგა. ხშირი წვიმების შედეგად ყურძნის მოსავალს საფრთხე დაემუქრა. შეიძლება ლპობაც შეეპაროს. ტემპერატურა ისე დაეცა, რთველი აშკარად დასაჩქარებელია.

რაიონში, ყურძნის ფასებზე რომ არაფერი ვთქვათ, გვიან ხდება ყურძნის რეალიზაციის დაწყება. მთელი წლის მანძილზე შრომით დაღლილი გლეხი ვაზისგან ელის მცირეოდენ შემოსავალს, რომ ოჯახმა თავი გაიტანოს, საარსებო მოიმარაგოს.

ვთხოვთ რაიონის ხელმძღვანელობას დროული დახმარება გაგვიწიოს, რომ მოწეული მოსავალი უდანაკარგოდ ჩავაბაროთ.

მევენახეები

სიახლეების ძიებით, ქვეყნის პრიორიტეტების გათვალისწინებით

(დასასრული)

რას გვეტყვით თქვენს პედაგოგიურ კოლექტივზე, როგორია მათი საშუალო ასაკი, პროფესიონალიზმი? რა კეთდება სტანდარტების შესაბამისად მასწავლებელთა გადასამზადებლად?

—სკოლაში 27 პედაგოგია, 65 ნელს ზემოთ მხოლოდ 2, პენსიონერი— 7. საშუალო ასაკი 40 ნელია, 13 მასწავლებელი 25-დან 40 ნლამდეა. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ 12 მათგანი ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულია, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობდნენ უფროსი კოლეგების გვერდით. გვყავს 7 მამაკაცი მასწავლებელი, რაც, თავის მხრივ, მოსწავლეთა აღზრდის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. დღემდე პრობლემად გვრჩება ინგლისურის სპეციალისტი. წინა წელს გამოვაცხადეთ ვაკანსია, ჯერჯერობით მშობელთა და მოსწავლეთა ამ სურვილის დაკმაყოფილება ვერ მოვახერხეთ.

რაც შეეხება პედაგოგთა სერტიფიკაციას, ისინი მზად არიან ჩაერთონ ამ პროცესში, დარეგისტრირდნენ, პროვაიდერებს თავად აირჩევენ და გაივლიან არჩეულ პროგრამებს უნარებსა თუ საგნებში.

ჩვენ ვცდილობთ, შევუქმნათ მათ მუშაობის, განვითარების, კვალიფიკაციის ამაღლების თანაბარი პირობები. სკოლის მართვა იხვეწება და უფრო დემოკრატიული ხდება.: მშობელიც, ვფიქრობ, მეტად უნდა ენდოს სკოლას. მოსწავლეთა წარმატებები მასწავლებელთა პროფესიონალიზმმა და საერთოდ, სკოლამ უნდა განაპირობოს. სკოლაში ამ მხრივ საქმე კარგადაა. თითქმის ყველა საგანში გვყავს კვალიფიციური კადრი, სკოლა მუდამ ძიებისა და განახლების პროცესშია.

რეფორმების კვალდაკვალ ვისაუბროთ სკოლის სიახლეებზე, რეორგანიზაციაზე, იმ სასიკეთო ცვლილებებზე, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-აღზრდის საქმეს.

—როგორც ვიცით, სწავლების დონესა და ხარისხს, არსებითად, ორი ფაქტორი განაპირობებს—პედაგოგთა მაღალი პროფესიული და ზნეობრივი დონე და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სასწავლო პროგრამებისა და სწავლების მეთოდიკის დახვეწა ემსახურება იმას, რომ ახალი პედაგოგიური მიდგომებით ბავშვს ასწავლონ, თუ როგორ ისწავლოს. ეს არის ღერძი, რაზეც უნდა აიგოს სასწავლო პროცესი.

რაც შეეხება ახალი სტანდარტების შესაბამის სასიკეთო ცვლილებებს, რამდენიმე მათგანზე შევჩერდები: 2005 ნელს სკოლამ გაიმარჯვა საგრანტო კონკურს პროექტს „ილია ჭავჭავაძეში", გადმოგვეცა 3000 აშშ დოლარი, რითაც შევძელით ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის აღჭურვა უახლესი ტექნიკითა და აპარატურით, მეთოდური ლიტერატურითა და ვიდეოფილმებით, რამაც მეტი ინტერესი გამოინვია მოსწავლეებში. 2006 ნელს სკოლას პრეზიდენტის პროგრამით გაუკეთდა ხელოვნურსაფარიანი კომბინირებული ტიპის სპორტული მოედანი, რაც უდიდესი საჩუქარია არა მარტო სკოლის, არამედ სოფლისა თუ რაიონის ახალგაზრდობისათვის, რადგან აქ ფიზკულტურის გაკვეთილების გარდა ხშირად ტარდება რაიონული თუ რეგიონული სპორტული შეჯიბრებები. 2007 ნელს „ირმის ნახტომის" პროგრამით გადმოგვეცა 6 კომპიუტერი, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ საინფორმაციო ტექნოლოგების დაუფლებას.

ამ ზაფხულს კი ნაწილობრივი რეაბილიტაციის ფარგლებში სკოლის მეორე კორპუსს გამოეცვალა სახურავი, ჩაესვა მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა, რამდენიმე საკლასო ოთახში ჩაიგო იტაკი, პირველ კორპუსში დამონტაჟდა და კეთილმოეწყო სველი ნერტილები. ყოველივე ეს მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში მნიშვნელოვანი ხელშეწყობაა.

მომდევნო ნელს გვპირდებიან სკოლის სრულ რეაბილიტაციას, რისი შესრულების იმედიც გვაქვს, რისთვისაც სამინისტროსა და ქვეყნის ხელმძღვანელობასთან ერთად უდიდეს მადლიერებას გამოვხატავთ რეგიონისა თუ რაიონის ხელმძღვანელობისადმი.

საერთო ეროვნულ გამოცდებში თქვენი სკოლიდან რამდენი მოსწავლე ჩაერთო და რამდენი ჩაერიცხა?

—სკოლა 17-მა მოსწავლემ დაამთავრა, სწავლის საფასურის გაზრდამ შეამცირა აბიტურიენტთა რიცხვი, რაც ნამდვილად დასანანია, 6 კურსდამთავებული გავიდა ეროვნულ გამოცდებზე და ექვსივე მათგანი სტუდენტი გახდა. ორმა კი კერძო უმაღლეს სასწავლებელში განაგრძო სწავლა.

ნელს რამდენი მოსწალეა მე-12 კლასში მომავალი სტუდენტის სტატუსით?

—ნელს XII კლასში 15 მოსწავლეა, აქედან 9-10 მათგანი ჩაერთვება ერთიან-ეროვნულ გამოცდებში და, იმედია, შეძლებენ, სტუდენტობას.

რამდენად სრულფასოვანია სასწავლო ინვენტარი, წიგნები?

—ინვენტარი ძირითადად დამაკმაყოფილებელია, რადგან სკოლა უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასკოლო მერხებით, 129 მერხი 4 კატეგორიისა შემოვიტანეთ 2008 ნელს. ძალიან გვიჭირს სხვა ინვენტარზე, კერძოდ, დაფებზე, მასწავლებლის მაგიდებსა, სკამებზე და კარადებზე.

2008 ნელს სკოლის სოციალურად დაუცველ 60 მოსწავლეს ჩამოერიცხა პრეზიდენტის ფონდიდან 3000 ლარით, სასკოლო სახელმძღვანელოების შესაძენად, რაც მართლაც უდიდესი შეღავათი იყო მშობლებისათვის, სასკოლო ბიბლიოთეკა კი მნიშვნელოვან წიგნადი ფონდით გამდიდრდა. ასევე ფასდაუდებელია სკოლისათვის „პრეზიდენტის საჩუქარის" პროგრამით გადმოცემული მხატვრული ლიტერატურა, ქართველი თუ მსოფლიო კლასიკოსთა შედევრები.

რა ხელშეწყობა აქვს სკოლას?

—ყოველივე ზემოჩამოთვლილი სკოლისათვის დიდი ხელშეწყობაა, თუმცა, როგორც დოტაციურ (შევსებაზე მყოფ) სკოლას გაცილებით მეტი გვჭირდება. 2007 ნელს მუნიციპალიტეტის გამგეობამ და საკრებულომ გამოგვიყო 3370 ლარი სკოლის დერეფნის ფანჯრების გამოცვლა-შეკეთება-შემინვისათვის, რისთვისაც მადლობელი ვართ. დავამატებდი იმასაც, რომ სკოლას ხარჯის თანხა მხოლოდ 100 ლარი გვერიცხება, თითქმის ნახევარი საბანკო მომსახურეობისთვისაა საჭირო, დარჩენილი თანხა სკოლის ისეთ ელემენტარულ საჭიროებებს ვერ აკმაყოფილებს, როგორიცაა ცარცი, სხვა საკანცელარიო თუ სამეურნეო სახის ნივთები.

როგორ მუშაობს სკოლის ახალი სტრუქტურა სამეურვეო საბჭო?

—მიუხედავად საზოგადოების დიდი ნაწილის სკეპტიზმისა, სამეურვეო საბჭოების შექმნამ გაამართლა, რადგან საშუალება მოგვცა, მართვაც უფრო ეფექტიანი გაგვეხადა და უკეთესი შედეგისთვისაც მიგვეღწია, საზოგადოებისათვის კი სკოლის ცხოვრება, მართვა და განვითარების პროცესი გამჭვირვალე და ღია გახდა, 2008-2009 სასწავლო ნლის ბოლოს სკოლაში სამი ნლის წინ არჩეულ სამეურვეო საბჭოებს უკვე ახლადარჩეული საბჭოები ჩაენაცვლა. წინა პერიოდში საბჭოს მშობელი თავმჯდომარეობდა, ამჟამად კი—მასწავლებელი. სამეურვეო საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, მჯერა სკოლის წინაშე არსებულ ბევრ პრობლემას დადებითად გადავწყვეტთ.

სამომავლოდ რა სიახლეებს გეგმავთ სკოლის საკეთილდღეოდ?

—ჩემი მიზანი იმთავითვე სკოლის წინაშე მდგარი ურთულესი და საპატიო მისიის თავის გასართმევად სკოლის პედკოლექტივის მობილიზება იყო, რაც თავისთავად გულისხმობს უდიდეს მომთხოვნელობას, როგორც საკუთარი თავის, ისე კოლეგების მიმართ.

ვეცდებით, ყველა წინაპირობა შევქმნათ მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის, რადგან მაღალკვალიფიცირებული მასწავლებელი სკოლისათვის ხარისხიანი სწავლების მყარი ბერკეტია. ასევე მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად სასკოლო კათედრებს გამოვავლენინებთ საგანში უძლიერეს მოსწავლეს, ასევე გამოვავლენთ კლასისა თუ საფეხურის წარჩინებულ მოსწავლეს და წავახალისებთ მათ სხვადასხვა სახის საჩუქრებით. სკოლა ეცდება მომზადებული შეხვდეს საგნობრივ ტურებსა და ოლიმპიადებს, რომელიც ამ სასწავლო ნელს ჩატარდება. ასევე ვიზრუნებთ მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად.

რას ეტყოდით თქვენს მოსწავლეებს, კოლექტივს, ჩვენს მკითხველს?

—ყველას მივულოცავ ახალი სასწავლო ნლის დაწყებას, მოსწავლეებს დიდი ილიას სიბრძნეს შევახსენებდი. **„ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელ კაცისათვის არსებითი პურია. უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია: ადამიანობასაც, საბაზრო-საბადებელსაც, ღონესაც და შეძლებასაც. დღეს უცოდინელად, უსწავლელად კაცი ერთს ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს ცხოვრების მოედანზედ უმარცხოდ და უძლეველად".**

ჩემს კოლეგებს და მათთან ერთად ყველა პედაგოგს მინდა მივულოცო მასწავლებლის დღე, მადლობას ვუხდი საქმის ქვეყნის ერთგულებისთვის და მათ სურვილსაც გავაჟღერებთ, რომ მასწავლებლობა ჩვენს ქვეყანაში ყველაზე დაფასებული და პრესტიჟულ პროფესიად ქცეულიყოს, რადგან მომავალი თაობის ღირსეული აღზრდა და სწავლა-განათლება არის მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ბედნიერი მომავლის საწინდარი.

თქვენს მკითხველს, ჩვენს თანამემამულეებს კი ვუსურვებდი კეთილდღეობას, სიმშვიდეს ოჯახსა და ქვეყანაში და შევახსენებდი, რომ მხოლოდ სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობით მიიღწევა ერის სანუკვარი მიზანი—ქვეყნის ძლიერება და მთლიანობა.

გმადლობთ.

ეკა ბედნელიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს

მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების (კოლმეურნეობების ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების) პრივატიზების მიზნით.

აუქციონში მონაწილოება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, პირთა გაერთიანებებს, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილოების ნილი 25 %-ზე ნაკლებია.

ინფორმაცია ძირითადი საშუალებების შესახებ:

ძირითადი საშუალებების ჩამონათვალი და საწყისი გასაყიდი ფასები განსაზღვრულია დანართი №1.

ძირითადი საშუალებების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქ. ცაგერი რუსთაველის ქუჩა №64

თანხის გადახდის ვადები და სანქციები:

გამყიდველსა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება. აგრეთვე, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს. ამასთან მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო გამოსასყიდი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს აუქციონის გამოცხადების დღიდან 30 კალენდალური დღის განმავლობაში, 10 00 სთ-დან 17 00 სთ-მდე (შაბათ-კვირის გარდა), აუქციონის ჩატარების დღის ჩათვლით, აუქიცონის ჩატარების დღის 12 საათამდე.

აუქციონი გაიმართება 2009 ნლის 5 ნოებმერს, 13 00 სთ-ზე. მისამართი ქ. ცაგერი რუსთაველის ქუჩა №64.

„ბე"-ს სიდიდე შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასისი 10 %-ს, ხოლო „ბიჯის" ოდენობა საწყისი გასაყიდი ფასის 5%-ს. აუქციონში მონაწილოების მისაღებად შესაძენი ბილეთის ფასი შეადგენს 20 ლარს, რომელიც „ბე"-სთან ერთად (ცალ-ცალკე, გადახდის დანიშნულების ველში ადგილობრივი თვითმმართველობის კონკრეტული ქონების, „ბე"-ს და ბილეთის ღირებულების მითითებით, მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, (ცაგერი) მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში 200122900, ბანკის კოდი 220101222, ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი: 300333332.

ბილეთის ფასი არ შედის ძირითადი საშუალებების ღირებულებაში.

აუქციონში გამარჯვებულ პირს „ბე" ეთვლება ანგარიშსწორებისას.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად საააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების დასახელებას, საწყის ფასს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის იმ ქონებაზე, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს.

ბ) „ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის მითითებულ ანგარიშზე გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში).

დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით.

ე) სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლები და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

„აუქციონის მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალში" რეგისტრაციისა და აუქციონში მონაწილის ბილეთის მიღების შემდეგ მონაწილე იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ობიექტების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობაში.

დანართი №1

№№	ძირითად საშუალებათა დასახელება	გამოშვების წელი	საწყისი გასასყიდი ფასი (ლარი)	„ბე"-ს ოდენობა (ლარი)	ბიჯის ოდენობა (ლარი)
1	ავტომანქანა საზ_3507	1987	1700	170	85
2	ავტომანქანა გაზ _66	1981	1500	156	75
3	ტრაქტორი გაზ _66	1990	1400	140	70
4	ავტომანქანა ზილ-157 კგ	1989	1750	175	87
5	ავტომანქანა გაზ-52	1986	1550	155	77
6	ავტომანქანა გაზ-53	1983	1400	140	70
7	ავტომანქანა უაზ-452	1986	720	72	36
8	ავტომანქანა გაზ-53	1988	1450	145	72
9	ავტომანქანა გაზ-53	1988	1500	150	75
10	ავტომანქანა გაზ-52	1976	1400	140	70
11	ავტომანქანა გაზ-52	1983	1300	130	65
12	ავტომანქანა გაზ-52	1979	1300	130	65
13	ტრაქტორი დ-606	1985	3000	300	150
14	ავტომანქანა ზილ-157	1987	1700	170	85
15	ავტომანქანა გაზ-52 სპეც	1987	1550	155	77
16	ავტომანქანა ზილ-131	1986	1100	110	55
17	ტრაქტორი დტ-75	1989	1200	120	60
18	ავტომანქანა ზილ-131	1988	1100	110	55
19	ტრაქტორი დტ-75	1988	1200	120	60

გამყიდველი — ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობა

საქმიანი კაცი, გამორჩეული პიროვნება, ლეჩხუმელთა ქომაგი...

კარგა ხანია მასზე სტატიის გაკეთებას ვაპირებდი, თუმც შევიტყვე, რომ ჟურნალისტებთან ურთიერთობას ერიდება, რადგან მაინცდამაინც არ უყვარს თავის გაკეთებულ საქმეებზე ხმამაღლა საუბარი—„ამას ხალხი, ქვეყანა და ის, ვისაც რაიმეს დანახვა უნდა, ისედაც ხედავსო“... ამ ბოლო წლებში **სერგი ხაბულიანის** სახელთან ლეჩხუმში ბევრი კარგად გაკეთებული თუ გასაკეთებელი საქმეები ასოცირდება. ეგ ალბათ არცაა გასკვირი—სერგო ერთი კარგი ლეჩხუმელი კაცია, შოთა და თინა ხაბულიანების სტუმართმოყვარე და მადლიან ოჯახში გაზრდილი, ლადო ასათიანის ბარდნალასა და ლადოს ეზოში ბავშვობაგავლილი, რომელმაც იცის ფასი ბარდნალის, ლეჩხუმისა და მამულისა, ამიტომ აკეთებს იმას, რასაც აქაურობა მისი გადმოსახედიდან და თვალთახედვიდან იმსახურებს. სერგოს აქვს კარგად აწყობილი სამსახურეობრივი კარიერა, ჰარმონიული ოჯახი (მეუღლე—ლელა მეშველიანი სამი ვაჟი—ბექა, ირაკლი, ბესო) და რაც მთავარია აქვს სურვილი იმისა, რაც შეიძლება ბევრი რამ გაუკეთოს საქართველოს, ლეჩხუმს, ლადოს ბარდნალას, მეგობრებს, ახლობლებს, შეჭირვებულებს, თავისი წვლილი მაქსიმე ალმსარებლის ტაძრის მშენებლობაშიც გაიღოს, ლამაზი, ასფალტირებული გზების დაგებაშიც, ქველმოქმედებაშიც...

ძალიან ხშირად მსმენია — „მასთან მისული მთხოველი უკან არც ერთი უკმაყოფილო არ დაბრუნებულაო.“ ყველას უმართავს ხელს, ცდილობს გული არავის ატკინოს, რითაც შეუძლია დაეხმაროს, სიკეთე ისე დადოს ქვაზე, უბრალოდ... გაიაროს და შედეგს არ დაელოდოს... საგზაო კომპანია შპს „ცეკური“ ამასობაში რესპუბლიკაში ერთ-ერთი ცნობილი კომპანია გახდა და საქმეც აეწყო. ბატონი სერგო სატელეფონო ინტერვიუზე დაუზარებლად დაგვთანხმდა, გვითხრა, ნამდვილად ვცდილობ ძირითადად უარი ვუთხრა ჟურნალისტებს, თუნდაც ათს, ოცს, კვირის განმავლობაში, მაგრამ მირჩევნია ერთმა დაწეროს და ისიც ჩემს მშობლიურ ლეჩხუმში... ჩვენც სატელეფონო ფორმატით დავუსვით მას რამდენიმე შეკითხვა:

ბატონო სერგო!—ლეჩხუმელთათვის, ისევე, როგორც ალბათ მთელი საქართველოსთვის, უმწვავეს პრობლემად განიხილება დასაქმება. ლეჩხუმელთა ამ პრობლემას თქვენ გარკვეულწილად შველით. დაახლოებით რამდენ ლეჩხუმელს გაუჩინეთ საარსებო მინიმუმი?

—პირველ რიგში მადლობა მინდა გითხრათ „ახალი ლეჩხუმის“ რედაქციას და გისურვოთ შემოქმედებითი წარმატებები. შეკითხვაზე კი გიპასუხებთ, რომ თბილისისა და ცაგერის ობიექტებზე, ორივეგან სულ 150-მდე ლეჩხუმელი დავასაქმეთ. ვცდილობ, თუ საქმეს ოდნავ მაინც შემოევლება, გული არავის დავწყვიტო, მივეხმარო, სიკეთის ხელი გავუწოდო.

—ლეჩხუმისათვის წმინდა მაქსიმე ალმსარებლის ტაძრის მშენებლობა, საუკუნის მშენებლობად აღიქმება. ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიის მწყემსმთავრის, მეუფე სტეფანეს ლოცვაკურთხევის შემდეგ ტაძრის მშენებლობა ღვთის მადლით შეუჩერებლივ მიდის. თქვენი წვლილი ამ ტაძრის მშენებლობაში...

—ისე, მე ნამდვილად მირჩევნია ამ საკითხზე კომენტარი, მეუფე სტეფანეს ჰკითხოთ, რადგან ეს საკმაოდ ფაქიზი და დელიკატური თემაა. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ მე წმინდა-მაქსიმე ალმსარებლის ტაძრის მშენებლობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვარ, ამ მშენებლობას როგორც იცით, 2 წლის წინ ჩაეყარა საფუძველი. მინდა ისიც გითხრათ, რომ ტაძარი 2-3 წელიწადში დასრულებულ სახეს მიიღებს და ყველას ერთიანად გაგვახარებს.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ სოფელ ბარდნალში სულ ცოტა ხნის წინ ასფალტის საკმაოდ მძლავრი ქარხანა გაისხნა აქაც ბევრი ლეჩხუმელი დასაქმდა, ჩვენმა ბიუჯეტმაც ალბათ ხეირი ნახა...

—ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სულ 10-მდე ქარხანა გავხსენით. სოფელ ღვედში კი ქვის სამტვრევი დანადგარიც ავამოქმედეთ. სხვათა შორის აქაც უმეტესობა ლეჩხუმელები არიან დასაქმებულნი. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჩვენ შეგვაქვს ქონების და ბუნებრივი რესურსების გადასახადი, სულ ეს თანხა 30.000 ლარამდე აღწევს, ეს ასფალტის ქარხნიდან.

ბარდნალის ასფალტის ქარხანა ბევრ სიკეთეს მოუტანს

არამარტო ცაგერს, არამედ ლენტეხისა და რაჭის მიმართულებით მუნიციპალიტეტებს. მაგალითად, თუ ცაგერიდან მოშორებული ტერიტორიიდან, ვთქვათ წყალტუბოდან ამოტანილი ასფალტით ცაგერში გაკეთდებოდა 5 ქუჩა, ბარდნალის ასფალტის ქარხნის წყალობით შესაძლებელი გახდება 12 ქუჩის კეთილმოწყობა, რადგან ტრანსპორტირების ხარჯები გაცილებით ნაკლები დაჯდება, ანუ ნაკლები ხარჯით მეტი და მეტი საქმე გაკეთდება. ჩვენ, ქალაქ ცაგერში, პარტიზანთა ქუჩა სწორედ ამ ქარხნის წყალობით თითქმის საჩუქრად გავუკეთეთ ქალაქის მცხოვრებთ „ხელმძვანელობის თხოვნით“. ამ პროექტზე რომ იტყვიან გასავალმა გაასწროს შემოსავალს, მაგრამ არა უშავს, დიდი ხნის პრობლემა ხომ გადაწყდა.

ბატონო სერგო! თქვენ გააკეთეთ არა მარტო პარტიზანთა ქუჩა, არამედ ქვედა ცაგერის სკოლის სპორტული მოედანი... აპირებთ მოედანი გაუკეთოთ ორბელის სა[illegible]...

—დიახ, [illegible] ვე ავაშენეთ სოფელ ბარდნალში ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი, რომელიც მომავალი წლის 21 სექტემბერს ეკურთხება და გახდება მომქმედი.

—ბატონო სერგო! თქვენი სამომავალო გეგმები?

—ჩვენ არ ვგეგმავთ გავჩერდეთ უქმად! საქართველოს პრეზიდენტის, ბატონი მიხეილ სააკაშვილისა და საქართველოს მთავრობის პრიორიტეტი არის გზებისა და ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა და არ ვაპირებთ ამ გზიდან გადავუხვიოთ, ვეცდებით ვაკეთოთ ხარისხიანი და სამომავლო საქმე. ლეჩხუმში ვაპირებთ წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის წინ მიმდებარე ქუჩის ასევე, ლადო-ასათიანის მუზეუმამდე მისასვლელი გზის ასფალტირებას, არის სხვა საინტერესო პროექტებიც. ამაზე შემდგომ... ერთ რამე კი ნამდვილად დაგპირდებით: 2-3 წელიწადში ველარავინ ველარ იტყვის—ლეჩხუმში ცუდი გზებიაო! დროის ამ მონაკვეთში ლეჩხუმის გზა ერთ-ერთი კეთილმოწყობილი გზა იქნება მთელს რესპუბლიკაში.

გმადლობთ!

***

ჩვენი სატელეფონო საუბარი აქ დასრულდა, თუმც არ დასრულებულა ლეჩხუმელი კარგი კაცის—სერგო ხაბულიანის ფიქრი, თავისი ლეჩხუმისა და ლეჩხუმელების კეთილდღეობაზე!

წარმატებებს გისურვებთ.

მარინა სვანიძე

ცაგერის ისტორიული მუზეუმის კატალოგი

ცაგერის ისტორიულმა მუზეუმმა გამოსცა მუზეუმის კატალოგი, პროექტის ავტორია ნუგზარ კოპალიანი, ტექსტის შედგენაში მონაწილეობა მიიღო მუზეუმის თანამშრომლებმა.

მიგვაჩნია რომ კარგი საქმე გაკეთდა.

კატალოგის გამოცემა დააფინანსა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და გამგეობამ, რისთვისაც მუზეუმის კოლექტივისაგან დიდი მადლობა მათ.

კატალოგის შემდგენელებმა მიზნად დაისახეს ახალი გამოცემით ფართო საზოგადოებას გააცნონ ცაგერის ისტორიული მუზეუმის ღირსება.

ცაგერის ისტორიული მუზეუმი თავის უნიკალური სიძველეებით (ქვის, ბრინჯაოს, რკინის, კერამიკის,—სამეურნეო, საბრძოლო, საკულტო, საოჯახო ნივთები, ნუმიზმატიკა და სხვა.) ლეჩხუმის და მთელი ქვეყნის სულიერ და კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს, ის ჩვენი ერის თვითშეგნების ჩამოყალიბების და თვითმყოფადი ეროვნული კულტურის უწყვეტობის წინაპირობაა, კაცობრიობის საერთო საგანძურის განუყოფელი ნაწილია, წარსულის მატიანეა. ჩვენი მუზეუმი ლეჩხუმის სავიზიტო ბარათად მიგვაჩნია.

ლეჩხუმელი და არამარტო ლეჩხუმელი მოზარდი და მოზრდილი თაობები მუზეუმს კარგად უნდა იცნობდნენ და სარგებლობდნენ ამ სიკეთით, რადგან წარსულის გარეშე არ არსებობს აწმყო და აწმყო თუ არ გვივარგა, არ გვექნება მომავალი.

დაინტერესებულთ მოვუწოდებთ, შეიძინონ პოლიგრაფიული, მხატვრულობით და შინაარსით მაღალი დონის გამოცემა,— ლეჩხუმის ისტორიული მუზეუმის კატალოგი. კატალოგს თან ერთვის კომპაქტდისკი ლეჩხუმის ულამაზესი ხედებით და ფოტოკოლაჟი ქართული საგალობლებით.

კატალოგის შეძენის მსურველებმა მიაკითხონ ქალაქის ცენტრში არსებულ პრესის ჯიხურს.

კატალოგი დაიბეჭდა ქ. ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში.



თინა სალინაძე

ვრეზიდენტის ვროგრამით

ჩვენ, არაერთხელ შევხებივართ ცაგერი-ლასურიაშის გზის მონაკვეთების პრობლემას, რომელიც მართლაცდა რომ იტყვიან „აქილევსის ქუსლს“ წარმოადგენს რაიონისათვის. წლებია უკვე, რაც მოსახლეობას ეს პრობლემა აწუხებს. მდინარე ცხენისწყალი ოდნავი მომატების შემთხვევაში მთლიანად იცვლის თავის კალაპოტს, გვერდს უვლის მდინარეზე გადებული ხიდის კონსტრუქციას და გაღმა სოფელში ლასურიაში, დეხვირი და მახაში მთლიანად მოწყვეტილი რჩება.

აღსანიშნავია, რომ ეს პერიოდი ხანდახან თვეებსაც კი მოიცავს. ძირითადად მოსახლეობას შემოვლითი გზებით უხდება რაიონთან დაკავშირება და პრობლემაც სწორედ ეს გახლავთ, როცა შვიდკილომეტრიანი გზა სამმაგად იზრდება ფეხითმოსიარულეთათვის. წელს, საბედნიეროდ დაფინანსდა ახალი ხიდის მშენებლობა თუ რა მდგომარეობაშია პროცესი ამ კითხვით მივმართეთ ლასურიაშის თემის რწმუნებულს ბატონ როსტომ ბრეგვაძეს—სასიხარულოა ფაქტია ნამდვილად, ამ მართლაცდა საშვილიშვილო საქმის დაწყება. და მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის ხელისუფლების მიმართ. ძირითადად ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება. შესასრულებელი სამუშაოებს ასრულებს სააქციო—საზოგადოება „ხიდმშენი“, რომლის ხელმძღვანელი გახლავთ ჯიმი მამალაძე. მიმდინარეობს ბურღვითი სამუშაოები, ცოტა იყო რაღაც პრობლემა, 7 მეტრის ქვეშ აღმოჩნდა ძლიერი ქანები, რამაც შეაჩერა დროებით პროცესი, ამიტ გამო ხელახლა გაკეთდა პროექტის ხარჯთაღრიცხვა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამუშაოები. ყველაფერი კეთდება მოსაწონად და მისაღებად. სავარაუდოთ მშენებლობა უნდა ჩაბარდეს დეკემბრის შუა რაიცხვებისათვის. ამ კეთილ საქმეზე ამოისუნთქავს მოსახლეობა და მათი სახელით მადლობას გამოვთქვამ.

P.S.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ მცირე კომენტარის შემდეგ შევძლებთ თვით ხიდის მშენებლებს უშუალოდ დავუკავშირდეთ და ვრცელი, საინტერესო ინფორმაცია შემოგთავაზოთ.

ეკა ყვირილიანი

მონატრება

ვუძღვნი მ. ჩიქოვანის ხსოვნას

მენატრება ჩემი სოფლის
ყველა კუთხე-კუნჭული,
ჯალას ხარი კავს გაბმული
ლეჩხუმური ნადურით.

მენატრება ცხის ქვეში,
გაღმაჯერი—ლაშხანა,
ბატონკალო, ლანდაბარი
ენერი და ნაბლნარა.

მენატრება კენჭაობა,
ლახტაობის თამაში,
ლიკლიებზე მახის გაბმა
ჩემს მახაშის ჯალაში.

მენატრება სოფლის ბოლოს
ნკნელით ნნული კარავი,
იმ კარვის ნინ ის ალვის ხე,
რომელიც დღეს არ არის.

იმ ხის ძირში ჩამომჯდარი
ჩემი სოფლის ჯარმაგი,
შრომის ოფლით მკერდდამნვარი
თავმდაბალი—ამაყი.

მისი შრომა, მისი გარჯა
სოფელს დღესაც აცყვია
ჩემში კარგი თუკი რამ არს,
ჩემი ოფლის მადლია.

ვინც კარვის ნინ ჩამომჯდარა
და დღეს უკვე არ არის
ნათელს იყოს სული მისი
საუკუნოდ—მარადის.

ვალა ასათიანი,
აფხაზეთის და სამჩაბლოს ომის
მონაწილე, ჰოლიცრის თადარიგის ჰოლკოვნიკი.
2009 წ.

საქართველოს მეფეთაგან ყველაზე დიდხანს იმეფა

ფარნავაზი—იმეფა ყველაზე დიდხანს, 65 წელი, გამეფდა 27 წლის.

ვახტანგ გორგასალი—გამეფდა 475 წელს 15 წლის ასაკში, იმეფა 45 წლის განმავლობაში.

ბაგრატ II—იმეფა 57 წელიწადს, 937-994 წლებში.

გუბაზ I—ეგრის—აფხაზეთის მეფე—455-500 წლებში, იმეფა 45 წლის განმავლობაში.

ლეონ II—ეგრის—აფხაზეთის მეფე—755-800 წლებში, იმეფა 45 წლის განმავლობაში.

ჩემი სოფლის ფოტოწიგნიკა

სოფელი ლესინდი ლეჩხუმის წყალგამყოფი ქედის აღმოსავლეთ კალთებზეა შეფენილი ცაგერიდან შვიდიოდე კილომეტრის მოშორებით. ლესინდს ჩრდილოეთით მცხეთის ნასოფლარი ესაზღვრება, ჩრდილო—აღმოსავლეთით—წილამიერი, აღმოსავლეთით—ლაცორია, სამხრეთ—აღმოსავლეთით—ლეშკედა და უცხერი, ჩრდილო—დასავლეთით—ლასხანა, ხოლო დასავლეთით—დეხვირი.

სახელწოდება ლესინდი სვანური წარმოშობის სიტყვაა და სასიმინდე ადგილს უნდა ნიშნავდეს. თუ ეს ასეა, სოფელი ზედმიწევნით ამართლებს თავის სახელს სიმინდისა და ლობიოს უხვი მოსავლიანობით. სხვათა შორის, ლესინდლებს მეცერცვიეებს ეძახიან, მართალია, ჩემს დროს ცერცვი აღარ ითესება, მაგრამ ცოცხლობს ზეპირი გადმოცემა იმის შესახებ, რომ ერთი მარცვალი ცერცვისათვის ლესინდელ კაცს თითქოს შეშის ხორა დაერღვიოს, ასე გვეხუმრებიან მეზობელი სოფლელები, მეტადრე ლაცორიელები, რომლებსაც მეფაფიეებად მოიხსენიებენ ლესინდლები.

მე-20 საუკუნის 50-იან წლებში სოფელში 50-მდე ოჯახი ცხოვრობდა, რომელთა დიდი უმრავლესობა სილაგაძეები იყვნენ, მათთან ერთად სახლობდნენ ჭაბუკიანები (2 ოჯახი), ქარსელაძეები (1 ოჯახი), აბაშიძეები (1 ოჯახი), გორგასლიძეები (1 ოჯახი), გოლეთიანები (1 ოჯახი), ლიპარტელიანები (1 ოჯახი), ირემაძეები (1 ოჯახი), ლომთაძეები (2 ოჯახი) და დევდარიანები (1 ოჯახი).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გვარის წარმომადგენელს სისხლით ნათესაობა აკავშირებს სილაგაძეებთან, რადგანაც ზედსიძედ არიან მოსული (ჭაბუკიანები, გოლეთიანები, ლიპარტელიანები, ირემაძეები, ლომთაძეები, დევდარიანები). ასეთი დამოკიდებულებით უნდა აიხსნას, რომ სოფლის სინამდვილეში თხოვებას და გათხოვებას ადგილი არ ჰქონია. იყო მხოლოდ ერთი შემთხვევა, როცა ლომთაძე დაქორწინდა ირემაძეზე, მაგრამ ისინი ნათესავები ნამდვილად არ იყვნენ. ხალხი მშრომელია, სტუმართმოყვარე, სოფელი გამოირჩევა ნაყოფიერი სახნავ-სათესი მიწებით, ვენახებით, ბაღებით, ბოსტნებით, საძოვრებით და ტყეებით. მოსახლეობა ოდითგან მისდევს მემინდვრეობას, მევენახეობას, მეხილეობას, მეცხოველობას, მებოსტნეობას და მეაბრეშუმეობას. მოყავთ სიმინდის, ლობიოს, ხილისა და ყურძნის უხვი მოსავალი. სოფლის მეურნეობის ჭარბ პროდუქციას ადრე სახელმწიფო დამამზადებელ ორგანიზაციებს აბარებდნენ, ახლა ბაზარში ყიდიან. ათიოდე წლის წინათ ხალხი შეძლებულად ცხოვრობდა, მაგრამ 90-იანი წლებიდან სიღარიბემ დარიათ ხელი. დრო გადის, მოსახლეობა უკეთესი ცხოვრების მოლოდინში მოთმინებით იტანს განსაცდელს, 2003 წლიდან ცხოვრების პირობები თანდათან უმჯობესდება და ხალხიც, რა თქმა უნდა გამდიდრდა.

მოსახლეობის სიმცირის მიუხედავად, სოფელი რამდენიმე უბნად იყოფა. ესენია: ჩეროს კუთხე, გაღმა კუთხე, ქვედა კუთხე, ვაკე კუთხე და ზედა კუთხე. ადგილი აქვს ნათესაურ დაყოფასაც, რომელიც წინაპრის სახელიდან იღებს ხოლმე სათავეს. არიან ანდრიეისანები, ადამისანები, მათუსანები, გაბრიელესიანები, გიორგისანები და სხვები. ყველა ამ ჯგუფის ადამიანები, ერთი გვარის მიუხედავად, მკვეთრად განსხვავდებიან ხასიათითა და სხვა ადამიანური თვისებებით.

სოფელი მდიდარია სასმელი წყლებით, თუმცა გვალვიანობის დროს ქვედა კუთხეში ხშირად იგრძნობა წყლის ნაკლებობა. ახლა თითქმის ყველა ოჯახშია გამოყვანილი წყალი, მაგრამ ადრე უფრო კოდები იყო გავრცელებული. დიდი მოწონებით სარგებლობს გაღმა კუთხის, ჩეროს კუთხისა და ჩუმაშის სასმელი წყლები, მათ ემატება ცნობილი ღარწყალა და ცივწყალა. არის კიდევ ექვსი წყარო, მათი უმრავლესობა კოდის წყლის სახელითაა ცნობილი. სოფელი რომ მეწყრულია, სასმელი წყლების სიმრავლითაც უნდა იყოს გამოწვეული.

ყანები და ვენახები ისე ახლოს არის სოფელთან, რომ 6-7 წლის ბავშვსაც შეუძლია სადილის მიტანა. ლესინდის სამხრეთით, სოფლიდან ერთი კილომეტრის მოშორებით არის სახნავ-სათესი ადგილი, რომელსაც განებს ეძახიან. სახელწოდება ალბათ. მდებარეობის მიხედვით მიიღო. როცა განებში მიდიხარ, იშვიათად შეხვდები აღმართსა და დაღმართს, სულ განი გზით უნდა იარო. განების ქვემო ნაწილს წითელოური ჰ ქვია, შუა ნაწილს—ლეყლაჩი, ხოლო ზემო ნაწილს—ლემეკუხურაში. ლემეკუხურაშს ესაზღვრებათ ბოსელა, რომელსაც საძოვრად იყენებს მოსახლეობა, სახელი ბოსლიდან უნდა ჰქონდეს მიღებული, რომელიც, როგორც ჩანს, ადრე იდგა იმ ადგილზე. შემდეგ ცხრაქედა მოდის, რომელიც ამართლებს სახელწოდებას, რადგან ყველა მსურველს შეუძლია აქოჩრილი ტყით დაფარული ცხრაქედის დათვალა. ცხრაქედას ძირში მოზრდილი მინდორია, რომელსაც ლეცეკირას ეძახიან. არის ქვედა და ზედა ლეცეკირა. ზედა ლეცეკირა ახლა ტყითაა დაფარული, ქვედა ლეცეკირა კი, როგორც მთლიანად განები, საძოვრად არი გამოყენებული, როცა განებში წასვლა გინდა, ჯერ გაღმა ეზო უნდა გაიარო, ამ ადგილს ადრე ხნავდნენ, და მოსაგალიც კარგი მოჰყავდათ. ახლა საძოვრად იყენებენ. გაღმა ეზოდან პარტახში გადახვალ, სადაც ადრე მშვენიერი ზვრები იყო გაშენებული, შემდეგ ლაშვანსა და მორელს გაივლი. ლაშვანი ახლა ტყე-ბუჩქებითაა დაფარული, მორელზე კი ვენახებია შემორჩენილი, თუმცა მათი ფართობი მკვეთრად არის შემცირებული. შემდეგ, ლეშკედის საზღვარზე, არის კოდიანა, სახელი კოდიდან უნდა იყოს მიღებული, ეს ადგილი ადრე ვენახებით იყო დაფარული, ახლა საძოვრები და სახნავი მიწებია, მას ესაზღვრება ლუგუნდარეშის საძოვარი, რომელიც კაჭუანა ყანებით მთავრდება.

სამხრეთ—აღმოსავლეთით, სოფლიადან ნახევარი კილომეტრის დაშორებით, არის დობირო, 80-იან წლებამდე უხმოსავლიანი ზვრებით დაფარული ადგილი, დღეს საძოვარი, მის ბოლო ნაწილს ლამფაროულს ეძახიან, შეიძლება ლაფაროული ერქვას და სახელი ლაფაროდან იყოს ნაწარმოები. ძირითადად უგზოობით უნდა აიხსნას, რომ დობიროში ვენახები გადახმა. თუ მოსახლეობა მოლონიერდა და სოფელი ფეხზე დადგა, დობიროს უთუოდ დაუბრუნდება, რამეთუ უკეთესი სავენახე ადგილი არ გააჩნიათ.

სოფლის ბოლოს არის ერთი მეტად ლამაზი ადგილი, რომელსაც ქვენდერი ჰქვია. 50-იან წლებში იქ გაშენებული იყო ოჯალეშის ზვრები და ათ ტონაზე მეტი მაღალი ხარისხის ყურძენი მოჰყავდათ. 70-იან წლებში ვაზი მოუვლელობით გადახმა და ახლა საძოვარია. ქვენდერი ღელით არის გამოყოფილი ფათქაშის, ლაცორვაკის, კიცხუნარისა და ოშკაშუისაგან. ამ ადგილებში გაშენებული იყო ცხვედიანის თეთრა და ღვინო იმდენად ტკბილი და არომატული დგებოდა, რომ ჩემს ახალგაზრდობაში როცა შაქარი იშვიათი ხილი იყო, მისგან ამზადებდნენ ღვინის თბილს, რომელსაც ბავშვების საკვებად იყენებდნენ. პირადად მე, რომელიც მრავალ შვილიან ოჯახში ვიზრდებოდი, უსაჭმელობის დროს, ფათქაშის ღვინო, რომელსაც ბადაგში ვერ გამოარჩევდი ხოლმე, ხშირად მიმიწია მჭადსა და პურზე და ასე მომიკლავს შიმშილის გრძნობა. ეს ადგილები თითქმის მთლიანად დაიმეწყრა 90-იან წლებში და გამოვიდა მწყობრიდან ისეთნაირად, რომ სამეურნეო მიზნით მათი გამოყენება დიდხანს არ იქნება შესაძლებელი.

სოფლის ჩრდილო აღმოსავლეთით მინდვრის ვენახებია, მათი გაშენება 50-იან წლებში დაიწყო და მალე დამთავრდა, როცა კოდიანას, მორელის, დობიროს, ქვენდერისა და ფათქაშის ვენახები გადახმა, ზვარი მარტო მინდვრის ტერიტორიაზე შემორჩა სოფელს, მოსახლეობა მოვ-

(დასასრული გვ. 5)

ჩემი სოფლის ტოპონიმიკა

(დასასრული)

ლა-პატრონობას არ აკლებს და მოსავალსაც მაღალს ღებულობს, მაგრამ, რადგან ყურძნის ჩაბარება შეზღუდულია, სოფლის ფულადმა შემოსავლმაც იკლო მაშინ, როცა შაბიამანი გააძვირდა ხუთ ლარად თუ იშოვა კაცმა, ღმერთს მადლობა უნდა უთხრას. მინდვრის ერთ ნაწილს, რომელიც მცხეთის ნასოფლარს ესაზღვრება და წმინდა გიორგის ეკლესიის ახლოსაა, წიკარტული ჰქვია. ლესინდსა და წილამიერს შორის ერთი ხრიოკი საძოვარია, მას ტყაპაშს ეძახიან. ამ ტერიტორიაზე გადის წილამიერთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზა, იგი ხშირად საჭიროებს შეკეთებას, რამეთუ მწყობრიდან გამოდის არა მარტო მეწყრული მოვლენების ზემოქმედებით, არამედ ჩამონაშალი მიწის ქანებითაც, რომელიც ფარავს მდინარის ხეობიდან მამასისხლად მოტანილ ხრეშს, წვიმების დროს ლაფი დგება და გავლა შეუძლებელი ხდება.

სოფლის ჩრდილოეთით, ლესინდის, მცხეთის, წილამიერის, ლასხანისა და დეხვირის გზათა შესაყარზე არის გვარინა. ბავშვობაში, როცა ქარი ამოვარდებოდა და ბუხარში კვამლს დააბრუნებდა, საწყალი ბებიაჩემი იტყოდა ხოლმე: გვარინიდან უბერავსო. შემდეგ მოდის ლაქუმუში, ბოლოს კი ებელარი. ლაქუმუშით ლესინდი ლასხანას ესაზღვრება, ხოლო ებელარით–ჩხუტელსა და წილამიერს. ებელარს არის ასწლოვანი ცაცხვი, სადაც დიდი გვალვების დროს წმინდა გიორგის ხატს გამოასვენებდნენ ხოლმე. ეს ტრადიცია ჩემს დროს აღარ არსებობდა.

სოფლის თავში არის გორა, სადაც 50-იანი წლების ბოლომდე იყო შემორჩენილი დეხვირის ცნობილი ციხე. მისი კედლები იმდენად მაღალი მახსოვს, რომ ძლივს ავდიოდით მაღლა, სამალავში თავისუფლად თავსდებოდა 70-10 ბავშვი. ციხე ნაწილ-ნაწილ ააფეთქეს ლავჯანურჰესის მშენებლობის დროს 1952-1961 წლებში. ქვა საცხოვრებელი სახლების ბალავერისათვის გამოიყენეს. ციხის გადაღმა დეხვირის მინდორია, ჩრდილო-დასავლეთით ბატონის კალო, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით–ჩივალბეჩის მინდორი, რომელიც უძველესი ნასოფლარია, იქ დღემდეა შემორჩენილი სხვადასხვა ზომის ქვევრები. ჩვალბეჩის მინდორს სამხრეთით რობა ესაზღვრება. რობას–ტოტი ნამოსახლი (ტოტი ზურაბ ჩიქოვანის უშუალო წინაპარი იყო), ხოლო ტოტის ნამოსახლს ორენა. ორენა ორია: ზედა და ქვედა, ტერიტორია სადაოა ლესინდსა და უცხერს შორის.

რობისა და ტოტის ნამოსახლის აღმოსავლეთით არის ცნობილი ლეკარჩა. მის სახელთან დაკავშირებულია მშვენიერი თქმულება დეხვირის ციხიდან ნანას გატაცებისა და ნოდარის მიერ გამტაცებელი ლეკის, არჩას, მოკვლის შესახებ. ლეკარჩა ორია–ზედა და ქვედა, სადაც დღემდე ხნავენ ლესინდელები და მოსავალიც ჩინებული მოჰყავთ. ლეკარჩას, ლესინდი-ნასპერის საურმე გზის პირას, გამოდის ყინულივით ცივი წყალი, რომელსაც სახელადაც ცივწყალას ეძახიან. ზედა ლეკარჩას არის დიდი საძოვარი, რომელსაც ანას უყს ეძახიან, ასეთივე საძოვარია რობის ჩრდილო–დასავლეთით, მას ქვრივი ქალის უყი ჰქვია.

ლეკარჩიადნ იწყება საუცხერო, ანუ შეღობილა, იღვარეში, დიდკარი, დიდვაკე, ჭიჭიკელეის ახო და სალობიოო. აღსანიშნავია, რომ არის როგორც ზედა, ისე ქვეშეღობილა, ზედა შეღობილას მართლაც ღობესავით აქვს შემოვლებული ტყე ბუჩქნარის ანგარი, ალბათ შეღობილაც ამიტომაც დაერქვა. შეღობილის შთაბეჭდილებას ქვედა შეღობილაც ტოვებს, მაგრამ თავისუფალი აქვს სამხრეთ–აღმოსავლეთის მხარე. საუცხეროში საუცხოო ხორბალი იცოდა, რაც შეეხება სიმინდს, მხოლოდ იღვარეშსა და დიდკარს იძლევა უხვ მოსავალს. შეღობილას, დიდვაკეზე, ჭიჭიკელეის ახოში და სალობიოში, ბევრიარფერიშვილი სიმინდი მოდიოდა, ალბათ, ამით უნდა აიხსნას, რომ ამ 20-25 წლის წანათ საუცხერო საძოვრად გამოიყენეს და დღემდე არ ხნავენ.

სოფლის ჩრდილო დასავლეთით არის მაღალი ბორცვი, რომელსაც ნაციხარს (ნაცხვარას), ეძახიან. ნაციხარის ერთ ნაწილზე ჯერ კაკლის ხეები იყო გაშენებული, შემდეგ, კოლმეურნეობის დროს, ბაღიც გააშენეს. ადრე ხნავდნენ და თესდნენ, ბაღის გაშენების შემდეგ სათიბად იქცა, ახლა საძოვარია. ნაციხარის–თხემზე პატარა ვაკეა, რომელიც ბუჩქნარით დაფარული ბორცვით მთავრდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იქ ადრე მართლაც ყოფილა ციხე.

ნაციხარის ჩრდილო–აღმოსავლეთით არის დიდი მინდორი, რომელსაც საკანაჩოს ეძახიან. ფიქრობენ, რომ იქ კანაჩაძეებს უნდა ეცხოვრათ, რომლებიც დღეს ლასურიაშს სახლობენ და ლესინდში მათი მოახლეობის კვალი წაშლილია. საკანაჩო კარგი მოსავლიანი ადგილია, ხარობს სიმინდი, ლობიო, ხილი, განსაკუთრებით კაკალი. საკანაჩოს დასავლეთ ნაწილში, ტყის ძირში გამოდის საუკეთესო სასმელი წყალი, რომელიც იმდენად ცივია, რომ ბავშვობაში ასის დათვლამდე არ შეგვეძლო ხელის გაჩერება მის სათავეში. წყაროს, ბუნებრივია, რომ ცივწყალა ჰქვია. ახლა ის სოფელშია გაყვანილი და ფყურვილს უკლავს მოსახლეობას.

სოფლის ბოლოს, დობიროსაკენ მიმავალ გზაზე, არის მეწყრული ადგილი ნასხიდი (უნდა იყოს ნასყიდი). 50-იან წლებში ნასხიდში მოწანწკარებდა პატარა წყარო, რომელსაც მთელი ქვედა კუთხე ხმარობდა სასმელად, მაგრამ სოფელში სასმელი წყლის გამოყვანის შემდეგ დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

ნასხიდის თავიდან იწყება პალვანი, რომელიც სოფლის სასაფლაომდე გრძელდება. იგი ოდითგან იყო ცნობილი კარგი მოსავლით. ბოლო დროს პალვანის ქვემო ნაწილში თავი იჩინა მეწყრულმა მოვლენებმა, რამაც შეამცირა მისი გამოყენების შესაძლებლობა. საიდან მოდის სახელი პალვანი, არავინ იცის, არა მგონია, რომ პალმასთან იყოს დაკავშირებული.

ლესინდის ტოპონიმიკის შედგენით მცირე წვლილი შევიტანე იმ საქმეში, რასაც ლეჩხუმის ისტორიულ–გეოგრაფიული შესწავლა ჰქვია. ამით ჩემი ვალი მოვიხადე იმ სოფლის წინაშე, სადაც დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ 30 წლის განმავლობაში ახლო კავშირი არ მაქვს იმდენად, რამდენადაც ცხოვრება და მუშაობა მომიხდა ცაგერში.

ო. ჭაბუკიანი
4. 09. 2009 წელი

სპორტი

ფეხბურთი

მიმდინარე წლის 24 სექტემბერს სტარტი აიღო იმერეთის რეგიონის ჩემპიონატმა, სახელოვანი ფეხბურთელის სლავა მეტრეველის თასზე ჭაბუკთა გუნდებს შორის.

პირველი შეხვედრა გაიმართა ცაგერის ცენტრალურ სტადიონზე ადგილობრივ „ხვამლსა“ და „მამისონი“ ონის ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. შეხვედრა დაძაბულად წარიმართა, „ხვამლი“ I ტაიმში ტაქტიკურად სწორად მოქმედებდა ძლიერ მეტოქესთან პაექრობაში. ჩვენი ფეხბურთელები გამოირჩეოდნენ მახვილგონივრული თამაშით, რაც აისახა კიდევაც ანგარიშში. მე-12 წუთზე მეტოქის მეკარე კარიდან წინ იყო გამოსული, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია „ხვამლის“ ნახევარმცველ ერეკლე მეშველიანს, მანაც არ დააყოვნა, შორი მანძილიდან ბურთი გაგზავნა მეტოქის კარისკენ, ბურთი მოხვდა კარის მარჯვენა ძელს და გაეხვია ბადეში 1:0. გაშვებული გოლის შემდეგ „მამისონის“ ფეხბურთელები დიდი ძალებით გადმოვიდნენ შეტევაზე, თუმცა ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს „ხვამლის“ გუნდის თავდამსხმელმა ბექა კილაძემ მოახერხა დასარტყმელ პოზიციაზე გასვლა და ძლიერი დარტყმით გახვია მეტოქის კარის ბადეში 2:0.

მეორე ტაიმში თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, თუმცა ტაიმის მიწურულს სტუმრები მთელი გუნდით უტევდნენ მასპინძელთა გუნდს. ერთ-ერთი შეტევის დროს „მამისონის“ თავდამსხმელმა ისარგებლა „ხვამლის“ მცველთა შეცდომით და შეძლო ერთი გოლის გაქვითვა. საბოლოოდ 2:1 „ხვამლის“ სასარგებლოდ.

მოპოვებულია პირველი სამი ქულა. წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს ფეხბურთელებს მომდევნო შეხვედრებში.

გია სილაგაძე,
მთ. სპეციალისტი სპორტის სფეროში

ჩემი ბაბუა

ორმოცი დღე გავიდა, რაც ამ ქვეყნიდან გადაბრძანდი მარადისობაში. რეზო მჟავანაძე—ეს სახელი და გვარი ლეჩხუმის ძველი და საშუალო თაობისათვის ცნობილია. ბატონი რეზო, სპეციალობით ინჟინერ—მექანიკოსი, მოავლინეს ცაგერის ღვინის ქარხანაში ინჟინრად. რამდენიმე წლის შემდეგ გადაიყვანეს ცაგერის სატრანსპორტო საწარმოს უფროსად. მან მრავალი წელი იმუშავა აღნიშნულ ორგანიზაციაში. მისი მუშაობის პერიოდში აღორძინდა ავტოპარკი, შეივსო სხვადასხვა ტრანსპორტით, თითქმის სოფლის უმრავლეს ნაწილში დაინიშნა სამგზავრო ავტობუსები, შემოიყვანა სატვირთო თუ მსუბუქი ტაქსები. მისი მუშაობის პერიოდში ყოველთვიური სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით სრულდებოდა.

ბატონი რეზოს ნიჭი და მონდომება ტრანსპორტის სამინისტროს მესვეურებს შეუმჩნეველი არ დარჩათ და ის გადაიყვანეს ტრანსპორტის სამინისტროში შრომისა და ხელფასის განყოფილების გამგედ. სადაც იმუშავა დამსახურებულ პენსიაში გასვლამდე. იგი დაჯილდოებული იყო მედლებითა და ორდენით.

ბატონი რეზო იყო ყველას მიმართ გულისხმიერი, მოსიყვარულე, საქმისადმი პრინციპული უსაზღვროდ უყვარდა ლეჩხუმი და ლეჩხუმელები, ამიტომაც მას გულზე ლეჩხუმიდან ჩატანილი მიწა მოაბნიეს.

ბატონ რეზოს ლამაზი ოჯახი დარჩა—მეუღლე ქალბატონი ეთერი, შვილები ხატული, ნელი და მარეხი, შვილიშვილები, სიძე. ოჯახი გრძელდება, მრავლდება.

მშვიდად განისვენე ბატონო რეზო! თქვენს სახელს, საფლავს სანთელი და ყვავილები არ მოაკლდება.

თანამშრომლები და მეგობრები

ბებო

ბიჭებიც აქ არიან–შენი საფიცარი ძმები. შენი სიკვდილის შემდეგ თითქოს შეიცვალნენ, დაკაცდნენ, რაღაცრაღაცეებს სხვა თვალით შეხედეს. დაატარებენ უსაშველო სევდას, მათ შენი წილი კედელი უნდა ზიდონ, შენი საკეთებელიც უნდა აკეთონ, შენს ხსოვნას უნდა გაუფრთხილდნენ.

ნიკა დაქორწინდა, მაგისტრატურაში ჩაერიცხა, დათუნა–უნივერსიტეტში მოეწყო, ლადო კი იცი რამხელაა? ყოველდღე იზრდება. ვიცი როგორ გახარებს ეს ყველაფერი ჩვენო კეთილო და სულგრძელო ბიჭო!

ასეა, სიცოცხლე გრძელდება, მაგრამ გააჩნია–ვისთვის როგორ.

გვიან საღამომდე ეფერებოდნენ შენს საფლავს ახლობლები, მეგობრები. ზღვა ცრემლი, ყვავილები დაგიტოვეთ მდუმარე და წმინდა საუკუნო სავანეში. ასეთი ყოფილა უფლის ნება.

მეტი აღარ შეგვიძლია, ლევანი! იქნებ შვება ისაა, რომ შენნაირები არ კვდებიან და ადრე იმიტომ მიდიან, რომ სასუფევლისკენ სავალი გზა გაგვიადვილონ, იქნებ შენი წასვლითაც სიკეთე ჰქონი, ბევრ რამეზე მიგვანიშნე და ჩაგვაფიქრე...

არ ვიცით, მხოლოდ ის ვიცით, რომ შენს ადგილს ვერავინ დაიკავებს ამ ცისქვეშეთში, ის ვიცით, რომ ძალიან გვიყვარხარ და უსაშველოდ გვენატრები.

ოჯახი

გვენატრები

ლევანი (ლუკუნა) მაჩუკას ძე სალინაძე

ლევანი! ჩვენო იმედო და სიხარულო, ჩვენო ლამაზო, როხროხა და უცნაურო ბიჭო! გილოცავთ დაბადების დღეს! საოცარი ასაკია 20 წელი–განუმეორებელი, არაჩვეულებრივი, შეუდარებელი... სადა ხარ ახლა? –იქნებ „სიბიკარში“ ბიჭებთან და ქეიფობ შენებური ეშხით, იქნებ გულისწორთან და საქორწლო გეგმებს აწყობთ, იქნებ მეზობელ–ახლობლებთან–ყველას დამხმარე და მარჯვენა ხელი.

შენ ჩვეულებრივი ბიჭი არ იყავი, არაფერი იცოდი მოზომილი, უნაპირო სიყვარული დაგქონდა და ყველას უნაწილებდი, დაქროდი, ქარიშხალივით ბობოქრობდი. მაინც როგორ შეიცვალე ბოლო 2 წელიწადში–ტანი აიყარე, დავაუკაცდი, ჯანი მოგეძალა და სილამაზე მოგემატა.

რა ბედნიერები ვყოფილვართ. 4 ანგელოზივით ბიჭი რომ გამოხვიდოდით ჭიშკრიდან, ქვეყანა ჩვენი გვეგონა, დაღლაც გვავიწყდებოდა და ყველანირი ტკივილი.

და შენ მაინც გამორჩეული იყავი, შენი იმედი განსაკუთრებულად გვქონდა, იმიტომ, რომ თბილზე თბილი გული გქონდა, უცნაური მოფერება იცოდი...

და ერთ საბედისწერო დღეს ამოტრიალდა ჩვენთვის სამყარო, ჩვენი ფუძის ის კედელი ჩამოიქცა, რომელსაც ლევანი ერქვა, მორჩა, გათავდა ყველაფერი...

რა სასტიკია და დაუნდობელი წუთისოფელი. 20 წელი სად უნდა მოგილოცოთ შვილო! შენ საფლავთან ვართ ყველა–ვინაც გიყვარდა. შეხედე შენს გამზრდელ ბებია-ბაბუას–როგორ დაპატარავდნენ დარდისაგან, მეტს ვეღარ გაუძლებენ. აქ არის უბედური დედაშენი, მამაშენი კი შენი ხსოვნის უკვდავყოფისა და ოჯახის არსებობისათვის გადახვეწილი შენი მონატრებით ცოცხლობს, ისიც აქ არის–შენი გულის რჩეული, ჩუმად იცრემლება, საფლავში რა გაჩერებს, ლუკუ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ჩვენი ისტორიაა

წმიდა მთა თაბორში და ლეჩხუმის თაბორში



მდინარე ლაჯანურისა და ასკის წყლის წყალგამყოფ ლეჩხუმის ქედის აღმოსავლეთ ტოტზე მდებარეობს, სოფელ თაბორი და ამავე სახელწოდების, ადრე შუა საუკუნეების დროინდელი ეკლესია-ციხე-კოშკი.

მრავალმხრივ საინტერესო თაბორის ძეგლი,—ეკლესია-კოშკი სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან სამსართულიანია, ქვედა ყრუ სართული აკლდამა იყო, შუა ნაწილი წარმოადგენს ეკლესიას, ზედა ნაწილს სათავდაცვო მნიშვნელობა აქვს.

წმინდა მთის „თაბორის“ სახელი ქართულ ტოპონიმიკაში შემოტანილია ქრისტიანული რელიგიის ჩვენთან დამკვიდრების შემდეგ

ისრაელში უფლის გზაზე რამდენიმე წმინდა ადგილს შორის არის თაბორის მთა, სადაც, ოცი საუკუნის წინ სახარების ერთ-ერთი უდიდესი სასწაული—ფერისცვალება უფლისა ჩვენისა აღსრულდა.

19 აგვისტო იდგა, გზით და აღმართით დაღლილმა მოციქულებმა მუხლი მოხარეს... უფალი განმარტოებით იდგა... და აჰა, რაღაც უცნაური ნათება, სპეტაკი ელვა და განცვიფრებულ პეტრეს, იაკობს და იოანეს წინაშე სულ სხვა მაცხოვარია გაბრწყინებული, გასხივოსნებული, ნათელსამოსიანი – უცნაურობა გრძელდება—უფალს გვერდით მოსე და ელია უდგანან... ისინი საუბრობენ... მოულოდნელად მათ თავზე ნათელი ღრუბელი დაადგა და ისმა ხმა ღრუბლებიდან: ეს არის ძე ჩემი საყვარელი, ისმინეთ მისი! მოწაფეები პირქვე დაემხენ, როდესაც დამხობილნი უფალმა წამოაყენა, მას ჩვეულებრივი იერი ელო და აღარც ბიბლიური მამები ჩანდნენ.

ღმრთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, საქართველოში, თბილისის მახლობლად, არსებობს კიდევ თაბორის მთა, იმავე სახელწოდების ეკლესიით.

როგორც აღინიშნა, ლეჩხუმშიც არსებობს იერუსალიმის „თაბორის“ ნაწარმოების სახელის მქონე სოფელი თაბორი და ამავე სახელწოდების ეკლესია-კოშკი.

ცნობილია, რომ 26 საუკუნის წინ წმინდა მიწიდან იძულებით განთესილი ებრაელების მცირე ნაწილი, უფრო გვიან ლეჩხუმშიც მოვიდნენ საცხოვრებლად, გადმოცემით ვიცით რომ, პირველად ისინი ახლანდელ სოფელ თაბორის ტერიტორიაზე დაფუძნენ. აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ რომ, იქ დასახლებულმა

ებრაელებმა უწოდეს მათ ახალ სოფელს „თაბორი“. სოფელს ამშვენებს განაპირას მთის ქიმზე კოშკის სილუეტის მქონე ნაგებობა ეკლესია-კოშკი.

შუა საუკუნეებში მომხდარი მიწისძვრით დანგრეულ თაბორის სოფლიდან ებრაელები საცხოვრებლად უნდა გადასულიყვნენ მეზობელი სოფლის ლაილაშის ტერიტორიაზე.

1897 წლის მოსახლეობის აღწერით სოფელ ლაილაშს ცხოვრობდა 441 სული ებრაელი.

ლეჩხუმის სოფელ თაბორის და ეკლესია კოშკის ისტორიულ მნიშვნელობას ხორცს ასხამს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი, მე-11 საუკუნის უნიკალური ხელთნაწერი „თაბორის ოთხთავი“, რომელიც გადაწერილია 1060 წელს შავ მთაზე, გიორგი მთაწმინდელის რედაქციით, რომელიც დღემდე ცნობილ ოთხთავთაგან ყველაზე ადრინდელია და 1925 წლამდე დავანებული იყო ლეჩხუმის თაბორის ეკლესიაში. 1925 წელს მკვლევარ გიორგი ბოჭორიძეს სხვა ხელთნაწერებთან ერთად თაბორის ოთხთავიც გადაუტანია ქ. ქუთაისის მუზეუმში და დღესაც იქ არის.

ცაგერის ისტორიულ მუზეუმში დაცულია „თაბორის ოთხთავის“ ახალი (2008 წელი) გამოცემა. ტექსტი მოამზადა ც. მუმლაძემ, რედაქტორია ი. ნიკოლაიშვილი. დაიბეჭდა ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით. დაინტერესებულთ შეუძლიათ ადგილზე გაეცნონ ოთხთავს.

დავით კოპალიანი

თაბორის ოთხთავის მადლი გწყალობდეთ უფალმა დაგლოცოთ

კიდევაც დაიზრდებიან

„ყველაფერი რიგზეა!“

ავტობიოგრაფიიდან:

მე ვარ ანა ზურაბიანი, 14 წლის, ვსწავლობ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლის მე-9 კლასში.

ძალიან მიყვარს მუსიკა, იგი ჩემი ცხოვრების ნაწილია.

მყავს მეგობრები. რომელიმეს გამორჩევა არ შემიძლია, იმიტომ, რომ ყველა ძალიან მიყვარს და ვიცი მათაც ძალიან უყვარვარ.

ჩემს ერთ-ერთ დადებით თვისებად მიმაჩნია ის, რომ ვარ მიმტევებელი, თუ ვინმე მაწყენინებს, მალევე ვპატიობ.

არ ვიცი არის თუ არა უარყოფითი თვისება ის, რომ ძალზე მოუსვენარი ვარ?! თავად განსაჯეთ.

პატარაობიან ვოცნებობ გავხდე მომღერალი. ხშირად დავდგებოდით სარკის წინ, ვპოზირებდი სავარცხლით (ვითომ მიკროფონი) ხელში და ვღიღინებდი ჩემთვის...

ერთ დღესაც მოხდა სასწაული—მუსიკის მასწავლებლებმა იზა ხეცურიანმა და მაკა დავითულიანმა. მითხრეს, რომ სიმღერის სამხარეო კონკურსი ტარდება და მონაწილეობა უნდა მიიღოო.

ბედნიერებისაგან მე-9 ცაზე ვიყავი იმ წუთებში. დავიწყე მეცადინეობა, სხვათაშორის, ძალზე ბეჯითი ვარ და... ამ კონკურსის მონაწილე გავხდი, გავიმარჯვე, ოვაციებიც დავიმსახურე და პრიზიც (ფერადი ტელევიზორი). მადლობა ჩემს პედაგოგებს, მათ ჩემს ოცნებას ფრთები შეასხეს.

თუ ბედმა გამიღიმა, სიმღერის გაგრძელებას ვაპირებ, იქნებ მომღერალი დავდგე, დიდი სცენა ვიხილო... თუ ეს მოხდა, ცხოვრების ბოლომდე უფლის მადლობელი ვიქნები.

მუსიკის გარდა ძალიან მიყვარს ხატვა და კერვა, თუ მუსიკაში არ გამიმართლა, დიზაინერობაში ვცდი ბედს.

სკოლაში კლასის დამრიგებელია მაკა ბრეგვაძე, რომელიც ძალიან მიყვარს, ხოლო უსაყვარლესი საგნებია ისტორია, ქართული ენა-ლიტერატურა და რუსული.

თავისუფალ დროს ფორტეპიანოზე ვუკრავ, ვმღერი, ვხატავ, მეგობრებთან ვერთობი, რაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

***

ანა ახლა ჩემს წინ წის დიდრონი, შავი, ელვარე თვალებით. საოცარი აურა მოდის მისგან—მაცოცხლებელი, ლაღი, თბილი. მეც დამაბრუნა ბავშვობაში, მეც ასე თავდავიწყებით მიყვარდა სიმღერა და მიყვარს დღესაც. ვფიქრობ, რაღაც-რაღაცეებით ერთმანეთს ვგავართ და ამდენად როგორც ტოლიტოლთან, ისე ვსაუბრობთ—გულახდილად, თავისუფლად, შინაურულად.

სათქმელი თითქმის აღარაფერი დამიტოვა, მაგრამ რაღაცეებს მაინც ჩავეკითხე.

ანა ამბობს, რომ მსგავსი რეგიონული კონკურსები კვლავაც გაიმართება, თანაც უფრო მასშტაბური, გულისხმობს ტელევიზიით გაშუქებას, დაფინანსებას, და ისიც ახალი ენერგიით მიიღებს მასში მონაწილეობას.

გაზაფხულზე სამუსიკო სკოლას დაასრულებს, იმედია წარჩინებით. ასევე წარჩინებული მოსწავლეა სკოლაში.

ვოკალში ვიცით, მაგრამ ჟესტიკულაცია-მოძრაობებში ქალბატონმა დარეჯან საღინაძემ ამუშავა, რამაც კიდევ უფრო სრულყოფილი გახადა მისი ნამღერი.

გამარჯვებულ ბავშვებს თავთავიანთი სპონსორი ჰყავდათ. ანას, როგორც თავად ამბობს, ბატონმა სოსო თვარაძემ გადაცა საჩუქრად ფერადი ტელევიზორი და მას ის წუთები არასოდეს დაავიწყდება.

სხვა რა გითხრათ. ერთიც გამახსენდა: მაშინ ანა 8-9 წლისა თუ იქნებოდა—შემოგხვდა აცრემლებული—ნოტების წიგნით ხელში. მოვეფერე, დავუყვავე და... თურმე დედა რაღაც მიზეზით ვერ მიყვებოდა სამუსიკო სკოლაში. ამ უმწეო, პაწაწინა გოგომ მშვენივრად იცოდა, რას ნიშნავდა გაკვეთილის გაცდენა და ცრემლიანი, მაგრამ მაინც ჯიუტად მიუყვებოდა გზას, გზას, რომელსაც მუსიკა ჰქვია, ხელოვნება ჰქვია და ასევე ჯიუტად და მიზანდასახულად მიუყვება დღესაც.

წარმატებები ვუსურვოთ ამ გზაზე.

„იძირება გემი, მაგრამ... ყველაფერი რიგზეა!“—წაიღიღინა ანამ გამომშვიდობებისას ჩემი თხოვნით და ეს მრავლისმეტყველი ფრაზა და ლამაზად აღებული ბგერები არ მავიწყდება.

მზევინარ ძნელაძე

ფატი მუშკუდიანი

მკითხველთა შემოქმედება

***

ოცნების ფარი გამაღვიძებს ხატება შენი,
სანოლის კიდეს ვეფერები დარჩენილს ობლად–,
ღამის ბინდ-ბუნდში იფერფლება
ცისფერი ლანდი,
ცისფერი ლანდი მოლოდინის, იმედის—მოვა?!!
აღარ სურთ თვალებს გაღვიძება, დაგეძებს ძილში
სიზმრებად ქცეულს მენატრება შენი ხატება,
მინდა მოვხვიო ხელი, მაგრამ ოცნებად ქცეულს,
ვერად გეწევი, სულ გამირბის შენი სახება.
გამქრალხარ სადღაც, ღამის ბინდში ჩაძირულები
შენი აჩრდილი მეფერება დაღვრილ ლანდებად.
გამოღვიძებულს მახსენდება შენი ღიმილი,
სანოლის ახლოს შენი ჩრდილი
კვლავ მელანდება.

***

ლურჯი ქარებით გავფანტე კოცნა,
შენ რომ მაჩუქე წვიმიან დარში.
და ჩემი ქუჩის სანაპიროსთან
სიყალბის ნიღაბს ვესწავე ვალსი.
შენი თვალების ყრუ ჩურჩული
ნათელი მზერით ცირიფთან მიხმობს,
შენი ზავი დან არ მესმის ლოცვა,
მაგრამ ისინი მეძებენ თითქოს
ქარმა ნაიღო ძველი ოცნება
მე მხოლოდ მისი ჩურჩული მესმის.
დავრჩი ოცნებაგანაცრულები
ზედისწერასთან ყრითმო ლექსით.

გილოცავთ

თამილა ჭაბუკიანს! რამაზ კოპალიანს!

გილოცავთ პატარა მარიამის დაბადებას, ბედნიერი ქალი გაზრდილიყოს, უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ.

მეგობრები

მანანა ბურჯალიანს! ომარ ჭაბუკიანს!

გილოცავთ პატარა მარიამის შეძენას, ღვთისმშობლის კალთა ფარავდეს მას და მთელს თქვენს ოჯახს.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლები

ხატია შკუბულიანს, ფრიდონ არჯევნიშვილს

სულითა და გულით გილოცავთ შეუღლებას. ეს საპატიო უღელი გეტარებინოთ ღირსეულად, დიდი და ჭეშმარიტი სიყვარულით.

იბედნიერეთ!

ბუხუ, ვახტანგ, სოსო შკუბულიანები, სულიკო ყურაშვილი, ომარ ბურჯალიანი ოჯახებით

რედაქტორი თამარ დავითულიანი

პასუხისმგებელი მდივანი მზევინარ ძნელაძე

სარედაქციო კოლეგია: ეკა ყვირილიანი, მარინა ხვანიძე, ეკა ბენდელიანი

მისამართი: ცაგერი, რუსთაველის №47 მობ: 899 951678

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში

ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33 ტელ: 23711, 23499